

მალხაზ ბერუაშვილი
ჩვეინის
აბსოლუტური
ჩამვიონია



მალხაზ ბერუაშვილი

მალხაზ ბერუაშვილი, საქართველოს 1989 წლის ფალავანი, ვერ მხედა გასული წლის ათ საუკეთესო სპორტსმენს შორის...

დაეყვას, სადაც შერკინებები წრიული სისტემით ჩატარდა. ორივე ჩვენმა მოქიდავემ პირველად ადგილი დაიკავა და ორივენი ათ საუკეთესოს შორის მოხვდნენ...

ასე რომ, ნახევარფინალში ბერუაშვილი კუბატაძეს დაუპირისპირდა და დაამარცხა იგი. კლონოვმა ვერაფერი გააწყო მოსკოველ მოქიდავე კალმაკოვთან და მსაჯებს ის „ამაგი“ წყალში ჩაუყარა...

ამასთან ბერუაშვილს აშკარად დააკლდა „თავისი ხმები“ სხვა გარემოების გამოც: დეკემბრის მიწურულს მან მოიპოვა კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გამარჯვება — ყველა მეტოქე დაამარცხა საბჭოთა კავშირის სამხრეთ-აბსოლუტურ ჩემპიონატში...

სწორედ შემდეგ ეტაპზე უმუხტო ბედმა ახალგაზრდა საგარეჯოელ ფალავანს. აქ იგი რიბინსკელ სპორტსმენს, 130-კილოგრამიან მოქიდავეს კლონოვს შეხვდა...



კობა კუბატაძე

„შეპარდენის“ ლაურეატები

„ლელო“ წინასახალწლო 31 დეკემბრის ნომერში ეურნალისტთა გამოკითხვის შედეგად მკითხველებს გააცნო საქართველოს 10 საუკეთესო სპორტსმენი...

- 1. კობა კურტანიძე — ძიულდო, გორი;
2. ლეილა მესხი — ჩოგბურთი, თბილისი;
3. ზრისტინა ფალახინიძე — სინქრონული ცურვა, თბილისი;
4. შედეა მხეიძე — კალათბურთი, თბილისი;
5. ნუგზარ ძაგნიძე — რაგბი, ქუთაისი;
6. გურამ გედუხაური — კლასიკური ჰიდაობა, თბილისი — გარდაბანი;
7. ხათუნა კორკელია — წყალსათხილამურო სპორტი; ფოთი;
8. ივანე გამბიტაშვილი — სამბო, კასპი;
9. ვალერი პარუნაშვილი — ძიულდო, თბილისი;
10. ზაზა ზოზიროვი — თავისუფალი ჰიდაობა, გორი.

მათს გარდა დასახელებული იყვნენ: სტელა პრიახინა და ვასილ დავიდენკო (ორივე — ველოსპორტი); გელა უბილავე (თავისუფალი ჰიდაობა); ანა როსტიაშვილი და გოჩა გახარია (ორივე — წყალში ხტობა); აკაკი ჩაჩუა და გელა პაპაშვილი (ორივე — კლასიკური ჰიდაობა); ნინო მაისურაძე (სინქრონული ცურვა); გენადი პეტრუხინი და ვასილ ბუდუროვი (ორივე — წყალსათხილამურობა); ზურაბ ფალიანი და ტიგრან უზლიანი (ორივე); გრიგოლ ჩუბინიძე (ძალოსნობა); გია გიორგაძე, თეა ლანჩავა, ნათია ჯანჭღავა (სამივე — ჰიდაობა).

საუკეთესო ათეული:
1. კობა კურტანიძე — ძიულდო, გორი;

სოსუმეი იზრდებიან ფალავანები

მს შეჯიბრება, რომელშიც 400 სპორტსმენი მონაწილეობდა, გასული წლის მიწურულს გაიმართა მოსკოვში — საკავშირო ტურნირი თავისუფალ ჰიდაობაში. ასპარეზობა მიმდინარეობდა კავშირის სამხრის გვირის ა. პოკოიშკინის ხსოვნას. 17 წლის სპორტის ოსტატმა, სპორტსაზოგადოება „შეგარდენის“ წარმომადგენელმა სოსუმელმა ელდარ კურტანიძემ რვა ორთაბრძოლაში გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა 82 კგ. წონით კატეგორიაში. ე. კურტანიძე (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შოთა კიკაბიძე) სსრ კავშირის კუბატაძის ნაკრების წევრია. ამ შეჯიბრებაში სოსუმელთან კიდევ ერთი ფალავანი 21 წლის დინამოელი სპორტის ოსტატი პაატა ხურციძე (74 კგ) ავიდა კარცლბერგზე, მან მესამე ადგილი დაიკავა. თენგიზ პაპაქორია, „ლელოს“ კორ. სოსუმეი.

არდადეგო — სპორტულ გავრცელება

თბილისის სპორტკომიტეტმა რედაქციას გადასცა სპორტოლისტიკების ვრცელი გეგმა, რომელიც საგანგებოდ მოსწავლეთა ზამთრის არდადეგობთან დაკავშირებით შემუშავდა. დედაქალაქის თითქმის ყველა სპორტული ბაზა გაუღებს ამ დღეებში კარს მოზარდ თაობას. მეტი წილი სპორტული ღონისძიებები, ცხადია, თვით სახალხო განათლების სამინისტროს სპორტულ ობიექტებზე ჩატარდება. ორნისძიებები. დედაქალაქის ათივე რაიონში დღის 10 საათიდან დაიწყება.

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО
4 იანვარი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 2 (10 171) • ფასი 8 კპბ.
გამოცემის 1934 წლის 13 იანვარიდან

ორგანიზმი თავაზიანი ურთიერთობა „ლელოს“ და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას შორის გრძელდება

8 იანვრიდან „ლელოს“ რედაქციამ განაახლა კავშირი უფა-ს და ფიფა-ს უბაგიანთან. მივიღეთ პასუხი უფა-ს პრეს-ატაშისგან ჩვენს 21 დეკემბრის თხოვნაზე. ტექსტს აქვე ვაქვეყნებთ.

21 15 344
712912 PIR SU
912037Z UEF CH
TX-PTB.UHC - COMPUTER TELEX - UEFA, CH-BERNE - 21-DEC-89 13:37
TO: NEWSPAPER 'LELO'
MR T. GACHECHILADZE

DEAR SIR
WE WILL GLADLY SEND YOU A COPY OF THE REGULATIONS OF THE UEFA CLUB COMPETITIONS, AND THEREFORE KINDLY ASK YOU TO INDICATE TO US YOUR EXACT ADDRESS.

BEST REGARDS
UEFA - U. RUDOLPH ROTHENBUHLER, PRESS CHIEF
\* 212912 PIR SU
912037Z UEF CH

გაზეთ „ლელოს“, ბატონ თ. გაჩეჩილაძეს
ბატონო რედაქტორო. ჩვენ სიამოვნებით გამოგიგზავნით უფა-ს წესდებს. გთხოვთ გვაცნობოთ თქვენი ზუსტი მისამართი. საუკეთესო სურვილებით უფა-ს პრეს-ატაშე რუდოლფ როთენბუხლერი.

ახლა ბიზნესობით ტელეკსს, რომელიც გუშინ გავუგზავნეთ უფა-ს.

HEADQUARTERS OF FIFA
MR GENERAL SECRETARY

DEAR SIR
GEORGIAN FOOTBALL FANS CONGRATULATE YOU THE NEW YEAR DAY AND WISH YOU ALL THE BEST.
OUR FOOTBALL FANS GUIDED BY THE CONSTITUTION OF GEORGIA AS A SOVEREIGN REPUBLIC ALSO THE ARTICLE 76TH OF THE USSR'S CONSTITUTION AND GUIDED BY THE RIGHTS OF INTERNATIONAL DECLARATION ASK YOU TO EXPLAIN IF GEORGIA AS ONE OF THE SOVEREIGN REPUBLIC IN THE USSR HAS THE RIGHT TO BECOME THE MEMBER OF FIFA
OUR ADDRESS USSR GSSR TBILISI 380096, LENIN STR 14
NEWSPAPER 'LELO'
OUR TELEX 212 912 PIR SU

WITH BEST REGARDS T. GACHECHILADZE
NEWSPAPER 'LELO' EDITOR
PRESIDENT OF GEORGIAN SPORTSWRITER'S ASSOCIATION

უფა-ს შტაბბინა, გენერალურ მდივანს
ბატონო გენერალური მდივანო! საქართველოს ფეხბურთის გულშემატკივრები გილოცავენ ახალ წელს და გისურვებენ ყოველივე კარგს. ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივრები ეყრდნობიან რა საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის კონსტიტუციას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის 76-ე მუხლს და ხელმძღვანელობენ რა აგრეთვე საერთაშორისო დეკლარაციაში ჩამოყალიბებული უფლებებით, გთხოვთ მოგცეთ განმარტება საქართველოს, როგორც სსრ კავშირის შემადგენლობაში სუვერენულ რესპუბლიკას, აქვს თუ არა უფლება გახდეს უფა-ს წევრი.

უფა-ს და უფა-ს გაგზავნა ერთიანი ტექსტი. უფა-დან გუშინვე მივიღეთ პასუხი, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

03 13 394
272912 PIR SU
912037Z UEF CH
TX-GEORGIA.UHC - COMPUTER TELEX - UEFA, CH-BERNE - 3-JAN-90 11:43

ATT MR T. GACHECHILADZE
NEWSPAPER 'LELO' EDITOR

DEAR SIR,
THANKS FOR YOUR GOOD WISHES FOR THE NEW YEAR WHICH I GLADLY RETURN TO YOU AND TO ALL FOOTBALL FANS IN YOUR REGION.

WITH REGARD TO THE QUESTION THAT YOU RAISE, I SHOULD LIKE TO ADVISE YOU TO CONTACT FIFA IN ZURICH.

KIND REGARDS
GERHARD AIGNER
GENERAL SECRETARY OF UEFA

ბატონ თ. გაჩეჩილაძეს
დიდ მადლობას მოგახსენებთ სახალწლო მოლოცვისა და კეთილი სურვილებისათვის თქვენ და ფეხბურთის ყველა ქართველ გულშემატკივარს. თქვენთვის ხაინტერესო საკითხის განმარტებად, გირჩევთ დაუკავშირდეთ უფა-ს ციურბინში.
პატივისცემით გერარდ ააგნერი, უფა-ს გენერალური მდივანი.

# სპორტული

ეს სიტყვა არაქართულია. მაგრამ ყველასათვის კარგად ნაცნობი და იოლად მისახვედრი. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როგორც იქნა, მივხვდით, რომ რეალური სტიმულის გარეშე რეალურ შედეგებზე ფიქრი არარეალურია.

...კარგი სტიმული — თვეში 1500 დოლარი შესთავაზეს ცნობილ ქართველ ხელობურთელს, მწვრთნელს და სპორტის ორგანიზატორს თამაზ (ფარჩო) ანთაძეს კუვეიტში, რათა მას მოემზადებინა ადგილობრივი კლუბის „ელ კუვეიტის“ ხელობურთელები. თამაზიც ერთგულად შეუდგა საქმეს და ერთ წელიწადში მისი გუნდი ამ ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. მერე ახალ გუნდში (და კლუბშიც) გადაიყვანეს ჩვენი სპეციალისტი და თამაზიც მუშაობს...

ესაა მხოლოდ, გულს ეთანადრება: ხსენებული დოლარების ლომის წილი „სოფისპორტის“ სალაროში მიიხრიალებს.

— განა ეს სამართალია? — შემომჩვილა ფარჩომ. — ჩემი ოფლით მოაწვევებული ვალუტა ჩემს

საქართველოს არ უნდა მოხმარდეს? ბედნიერი ვიქნები, თუ ჩვენთან ჩამოყალიბებული ორგანიზაცია პირდაპირ გააფორმებდა კონტრაქტებს საზღვარგარეთთან და სპორტის ქართველი სპეციალისტების ნაჯაფიც შეეშველებოდა გაჭირვებულ ჩვენს ქვეყანას...

მერედა, სპეციალისტები არ გვეყავს თუ? — ზოგიერთი მათგანი, რაღაც მანქანებით ანერგებს ხოლმე თავისი მდიდარი ცოდნა-გამოცდილები ახალგაზრდა, მაგრამ მდიდარი ქვეყნების სპორტის სამსახურში ჩაყენებას, მაგრამ ესაა შემთხვევიდან შემთხვევამდე (მაგალითად, წინა წლებში იმავე კუვეიტში მუშაობდა წყალბურთელთა მწვრთნელი ჯუმბერ წიკლაური, ადრე მაღაჟასკარში იყო ტანმოვარჯიშე ჰანს ბურჯანაძე და სხვა)...



სპორტის გამოცდილ სპეციალისტებზე მოთხოვნა კი დიდია. აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნები დოლარებს არ იშურებენ, რომ თავიანთ გუნდებში ცნობილი სპეციალისტები მიიწვიონ. მაგალითად, ელ კუვეიტის სტადიონზე ჩვენ შევხვდით, მწვ-

რთნელებს: კალათბურთისა — იუგოსლავიელს, ფეხბურთისა — ბრაზილიელს, იტალიელს და ა. შ. სურათებზე, რომლებსაც მკითხველს ვთავაზობთ, ზემოთ მარცხნიდან აღბეჭდილია ჩვენი თამაზ ანთაძე თავის კუვეიტიურ ბინაში საკუთარი ნახატების კოლექციასთან; ანთაძის გუნდი ვარჯიშობს კლუბ „არაბიას“ შესანიშნავ, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილ დარბაზში; შესანიშნავი, 25-ათასიანი სტადიონი, სადაც ჩვენ ვხვდებით წამყვანი გუნდების ორთაბრძოლა, რომელსაც სპორტის სხვადასხვა სპეციალისტთან ერთად თვალს ადევნებს ქართველი ჟურნალისტი ზურაბ რცხილაძე (წინა პლანზე); კლუბ „არაბიას“ აქვს მრავალი ბრწყინვალე მოწოდებული ჩოგბურთის კორტი, დარბაზები სხვადასხვა სპორტთამაშებისათვის; საერთო კომფორტსა და ფუნქციონირებას ხაზს უსვამს კლუბის წევრთა შესაქრები დარბაზი; სადაც გამოფენილია „არაბიას“ სპორტსმენთა ნდვავალი...

...სტიმული! მართლაც რომ უდიდესია მისი როლი კაცობრიობის პროგრესში და რა კარგია, რომ ბოლოს მაინც მივხვდით ამას...

## ანჟორ ბასილია

ავტორის ფოტოები.



# „შევარდენის“ ლაურეატები

(დასახარული)

## საპატიოსნო მწვრთნელთა

### ათეალები:

1. დუგლას კავთელაშვილი (რაგბი, ქუთაისი);
2. ანჟორ ქაბორეაშვილი (ძიულა, გორი);
3. მიხეილ ფომენკო — (ფეხბურთი, ლანჩხუთი);
4. ნატალია მაშუკი (სინქრონული ცურვა, თბილისი);
5. თემურ კაკულია (ჩოგბურთი, თბილისი);
6. ნუგზარ ხხიერელი (თავისუფალი ჭიდაობა; გორი);
7. ივანე გრიგორიძე (ძალოსნობა, ცხინვალი);
8. ვიქტორ მელნიკი (წყალსახილამურო სპორტი; ფოთი);
9. ზურაბ ჩაჩავა (ქალთა წყალბურთი, თბილისი);
10. იური გუტიკაშვილი (წყალში ნტობა).

აგრეთვე დასახელეს: ოთარ ტატიშვილი (კლასიკური ჭიდაობა); ვაჟა კაპრაძე (ფრენბურთი); როინ პასიკაშვილი (სპორტული ტანვარჯიში); დავით გულიაშვილი (სამბო); ციცილო აბუაშვილი (ფრენბურთი); ვასილ ჩხიზაძე (ძიულა); ლევან ქუჩხაშვილი (ბადმინტონი); ვიქტორ ბაკში (ჩოგბურთი); ჯონი რეზვიაშვილი (კლასიკური ჭიდაობა); შოთა კიკაბიძე (თავისუფალი ჭიდაობა); სვეტლანა სიდოროვა (სინქრონული ცურვა); გელა ჩხიზაძე (კეტბურთი).

## საპატიოსნო მწვრთნელი

1. „აია“ — ქუთაისის რაგბისტთა გუნდი; სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი;
2. „გურია“ — ლანჩხუთის ფეხბურთელთა გუნდი; სსრ კავშირის მეორე პრიზორი I ლიგაში (გადავიდა უმდიდრეს ლიგაში).
3. „ფეხია“ — თბილისის წყალბურთელ ქალთა გუნდი; სსრ კავშირის პირველი ჩემპიონი.

## მოკლულ

# ტრადიციულ მატოქოგაში

ტრადიციისამებრ, ლათიურის აგროსამრეწველო კომბინატისა და სოფელ ოზურგეთის კოლმეურნეობის წარმომადგენლებს დიდი სპორტული მეტოქეობა აქვთ. ოზურგეთის რაიონულ სპორტკვადრებზე, საერთო გუნდური პირველობისთვის, ძირითადად სწორედ ისინი იბრძვიან. ასე იყო „შევარდენის“ რაიონული საბჭოს მუშათა მეორე სპორტკვადრებზეც, სადაც თოთხმეტიდან რვა სახეობაში პირველი ადგილი და მასთან ერთად საერთო გამარჯვება ლათიურელებმა მოიპოვეს; ოზურგეთის კოლმეურნეობის წარმომადგენლებმა კი ოთხი პირველი ადგილი და საერთო გუნდურ ჩათვლაში მეორე ადგილი დაიკავეს, მესამე იყო ძიმიტელთა ნაქრები.

რ. შუკირი, „შევარდენის“ ოზურგეთის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

# „ლელო“ რეიდი გავრცობს ბაგა-ბაღაში

ქვეყნის ლოზუნგებიდან ერთი აღბათ მუდამ შემოგვრჩება — „ყველაფერი ხაუკეთესო — ბავშვებს“. ე. ი. ჩვენ თუ არა, პატარებს მაინც ჰქონდეთ ყველაწარმო სიკეთე, ფიზიკური თუ სულიერი აღზრდისთვის. ბუნებრივია, რაკი მთავარი აღმზრდელთა განმრთვლობა, მონარდის ფიზიკურ აღზრდას დიდი ყურადღება უნდა ეთმობოდეს და ფიზიკური აღზრდა საბავშვო ბაგა-ბაღიდან იწყებოდეს. ამიტომ, ჩვენც მათ ვეწვივით. ვნახოთ, თუ ცხოვრებაში როგორ ხორციელდება ლოზუნგი: „ყველაფერი ხაუკეთესო — ბავშვებს“.

ბაგაში, ცნობილ მრავალ ბაღთან, გამწვანებული, ალბათ, შეამჩნევდა შესანიშნავ ოთხსართულიან შენობას, ზღაბრულ კაშკაღად რომ აღიქმებდა. ეს ორჯონიძის რაიონის განათლების განყოფილების 129-ე საბავშვო ბაგა-ბაღია (გამგე — ელენე ხარაზანიშვილი). ეს შენობა გარეუბან მტრის უბრძავებს თვალს, შიგნით კი ქალბატონ ელენეს უხეტიალს გულს.

ისეთი მდიდარი შეფერი ამ ბაღს რომ ჰყავს, სანთლით საძებარია („საქველოლოგია“, „საქმინდრონერგოშენი“, „ტყავაგალანტერია“), მაგრამ რად გინდა?!

ინდივიდუალური პროექტით ნაგებ ბაღში არა აქვთ პირობები, რომ ბავშვებმა ფიზიკურად ივარჯიშონ. ქალბატონ ელენეს საწყობი გაუწყობებია და შესანიშნავი დარბაზიც მოაწყვია, მაგრამ ამ დარბაზში ერთი შედეგური კედლისა და რამდენიმე ბურთის მერტ ვერაფერს იბოვით. ნუთუ ასე გაუჭირდათ შეფერს, რომ სპორტული ინვენტარი ვერ შეუძინეს „ფილოლოგიებს“? ალბათ, თითო ორგანიზაციამ 100-100 მანეთიც რომ გადაარიცხოს ინვენტარისთვის, პატარები გაიხარებენ, მით უმეტეს, რომ ბაღს ეზო არა აქვს (რამდენი ხანია ყოფნდება ეზოდან მოსახლე-პატარები სულთა ჰაერზე მაინც არიან. შენობას სახურავზე შესანიშნავი ტერასები აქვს და პატარონი რომ ჰყავდეს, ბავშვებისთვის აქ ისეთი ზღაბრული სამყარო შეიქმნებოდა, ამერიკელებს რომ შეეხატებოდა. განა არ შეიძლება, ორჯონიძის რაიონის გამწვანების სამმართველომ ბავშვებს ეს ტერასები მოუწყოს?!

ამ ბაგა-ბაღის პრობლემები ამით არ ამოიწურება. მთავარი პრობლემა აუზია. 75 კვადრატული მეტრი ოთახი სპეციალურადაა გამოყოფილი აუზისთვის, მაგრამ მისი მშენებლობისთვის პასუხისმგებლობას ვერავინ კისრულობს. საბავშვო ბაღს ამის სახსრები არ გააჩნია; ცარიელი ენთუზიზმით კი ფონს ქერ გადღიან.

ბაღში ჰყავთ ფიზიკულტურის მასწავლებელი, რომელსაც მშობლებმა 2-3 მანეთი უნდა უხადონ ყოველთვიურად. ამაზე აქამდე არაფერს ამბობდნენ მშობლები, ახლა კი „აჯანყდნენ“: არც აუზი აქვთ ბავშვებს, არც სპორტული ინვენტარი, ცარიელი ხელებით კი თავადაც ივარჯიშებნენ. რა გჭნოთ, წყაროვით ბავშვებს ფიზიკური გაკეთების ეს ერთი იმედიც, თუ შეფერს დაეფიქროლოთ. ამაზე იტყვიან სწორედ, ორი ძიძის ხელში...

20 წლის წინათ ჩვეულებრივი, ტიპური შენობა აუზებშია 5 დეკემბრის ქუჩაზე და მას შემდეგ იგი „საქველოლომანქანის“ ჩარხის მიკრომრავას მუშათა ბავშვებს ემსახურება. 62-ე საბავშვო ბაგა-ბაღში (გამგე ფრანა ბარათაშვილი) 12 ჯგუფზე ორი სპორტული დარბაზი აქვთ, ისიც ვასანდლები გამოუთავისუფლებიათ და იმის ხარჯზე მოუწყვიათ.

რა გჭნოთ, შეძლებისდაგვარად ეიყენებთ ამ დარბაზებს, — გვეუბნება მეთოდისტი ნანული როსტომაშვილი, — როგორც გვირდესო, ხომ გაგიგონიათ. ეზო გვაქვს და მასშიაღწერად ვიყენებთ. აუზზე ჰქვრ ვერც ვიოცნებებთ. თუ მიგვიშენებთ ახალი შენობა, მაშინ ბედნიერად გავიღებებს. იცით, ჩვენ კიდევ უკეთესი პირობები გვაქვს სხვა ბაღებთან შედარებით. ზოგან მეცადინეობის ჩატარების საშუალებაც არა აქვთ.

საოცარია, ნუთუ ორი 7-8 კვადრატულ-მეტრიანი ოთახი (მათ დარბაზს ვერ ვუწოდებთ) ეყოფა 12

ჯგუფს? ან ქარხანა „მიკრომრავა“ რატომ არ ზრუნავს თავის თანამშრომელთა შვილებზე? პატარა აკაკი გრიგოლის, სოფიკო მეჭვინაშვილის, როგორ მართობისა და კრისტინა სურმილოვას მშობლებმა გამოსავალი იპოვეს — შვილები ტანვარჯიშის სექციაში მიიბარეს. მალე მათ, ალბათ, სხვებიც მიიბაძვენ.

ბედმა „გამიობა“ და დასათვალისწინებლად სამი ბილიდან ერთი, „საჩვენებელს“ რომ უწოდებენ, ისეთი გამოდგა (საჩვენებელი იმას ჰქვია, რომელშიც თბილისის ჩამომბრძანებულ უცხოელ თუ შინაურ სტუმრებს მიარბენინებენ, აქაოდა, ნახეთ, ჩვენში ყველაფერი საუკეთესო ბავშვებს აქვთ).

თბილისის ფესვაცემის საწარმოო გაეროინება „ისანს“ 94-ე ბაგა-ბაღი (გამგე მეგი ქებაშვილი) ბოგდან მშენიციკის ქუჩაზე მდებარეობს და გამწვანებას ყურადღებას იქცევს. ინდივიდუალური პროექტით ნაგები ეს შენობა, დარბაზში მდებარეობს ესენი, ბავშვების ესთეტიკური გემოვნების გამომწვევებას შეუწყობს ხელს. დიდი და ხეთელი ოთახები, ფიზიკულტურის თუ აერობიკის დარბაზები და, ბოლოს — ყველაზე დიდი ნეტარება... „საქუეპალოლო“ აუზი — ეს ყველაფერი პატარებს ეკუთვნით.

როგორ იყენებენ ამ „ფუნქციონებს“? მერწმუნეთ, არაფერი სჯობდა იმის ხანძას, ნიორფერი საცურაო ცეკლებით სჭრელებული აუზიდან სიხარულით თვალმზამრწყინებული პატარები რომ ამომცქეროდნენ.

ყველაზე მეტად ის დღე გვიყვარს, როცა ცურვა გვაქვს, — გვიბრუნებს ბავშვებმა. უფროსი ასაკის ბავშვები კვირის ორჯერ ჩაღიან აუზში, პატარები — ერთხელ.

რაც ახალ შენობაში გამოვედით და აუზი მწყობრში ჩაღდა, ბავშვების ავადმყოფობა მკვეთრად შემცირდა, — გვეუბნება ამ ბაგა-ბაღის ფიზიკულტურის მეთოდისტი ალა ნებერიძე. — აუზში ჩასვლამდე აერობიკის დარბაზში ბავშვები მოთულებას აკეთებენ, შემდეგ მზაბს იღებენ და აუზში ჩაღიან. საერთოდ ჩვენთან ყოველი დღე სანტერესოდ იწყება. დილით დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე ვიარშობს მთელი ბაღი, ბაგის ჯგუფის გარდა. ჰაერზე ვარჯიშმაც შესანიშნავი შედეგი მოგვცო. ძილის შემდეგ პატარებს მასაჟს ვუტარებთ, მათ გაჯანსაღებაში ამანაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

სავარჯიშო დარბაზში არის ბურთები, გურბები, ბაგირი, შედღერი კედლები, ველოტრენაჟორი. ყველა ჯგუფს თავის ოთახში ფიზიკულტურის კუთხე აქვს მოწყობილი.

სასიამოვნოა, რომ ამ „საჩვენებელს“ ბაღში ფიზიკულტურის მხოლოდ საჩვენებელი ადგილი არ უკავია, რომ მონარდების ყოველი დღე სანტერესოდ, მინარსიანი და, რაც მთავარია, პატარებისთვის სასიამოვნოა, რომ ამ ბავშვებს ასეთი ყურადღებანი შეფი ჰყავთ და არაფერს აკლებენ, რომ მათ უხარინათ მათი მისთვის, ქვანსაკუთრებით იმ დღეს, როცა აუზში უნდა ჩაიღიან.

ეს ყველაფერი სასიამოვნოა, მაგრამ თან გვეყინოს... რა დააშავს სხვებმა. განა ლოზუნგი, „ყველაფერი ხაუკეთესო — ბავშვებს“, თითო-ორი საჩვენებელი საბავშვო ბაღის ატემას „გულისხმობს“? განა ეს ბავშვები ყველა-სი არ არის? ჩვენიც, თქვენიც, მათიც, ვისაც ამ პრობლემების გადაჭრა ძალუქს, მამ, რაღას ვაყოვნებთ?

ივანე ჩახავაშვილი.





# „ჭალაკი — სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სპორტია“

### გარი კასპაროვის ინტერვიუ ჟურნალ „კლივიზის“

**კვლავი გაბატონების მიზნით თამაშობენ?**

— დიხ, სრული გაბატონების მიზნით. მე ის მაქვს მხედველობა, რომ მეტოქე უნდა განადგურდეს. მას თავის სხნის საშუალება არ უნდა ჰქონდეს, თუკი თქვენ შეგიძლიათ გამარჯვება იმ მომენტისთვის, როცა წინასწარ გქონდათ ჩაფიქრებული, ეს ყველაზე უფრო ძვირფასი გამარჯვებაა. როცა მეტოქეს ამარცხებთ, ამით ამტკიცებთ, რომ მასზე უფრო ძლიერი, უფრო ჭკვიანი, უზრუნველყოფილი, უფრო უკეთესი ხართ. ჭალაკი მეტროლოთა თამაშია. მე კი მეტროლოთა ვარ ექვსი წლიდან. უკვე 20 წელია სისტემად ვარ. ახლა ყველა ჩემი ძირითადი მეტოქე პრეტენდენტია მატჩებში მონაწილეობს, რათა 1990 წელს ჩემთან შეხვედრის უფლება მიიღოს. ყველა პათვანს ჩემი მოკვლა სურს.

**ბობი ფიშერს ზოგჯერ ამბობდა, რომ მას მოსწონს, როგორ იტანება წაგების პირაზ მისული მეტოქე. იგი ამით ნაიმოვნებას განიცდიდა. თქვენ როგორ უყურებთ ამას?**

— მიყვარს თამაში გამარჯვება. დიხ, ეს მომწონს, ეს მეტროლოთა კიდევ მაგრამ არ მომწონს ადამიანებისათვის ტყვიის მიყენება. თამაში, ჩემის აზრით, მათთვის თავისებური გავეითებაა. შემიძლია მთ ზოგი რამ ვასწავლო. არა მაქვს პირადი სიძულვილი იმთ მიმართ, ვის წინააღმდეგაც ვთამაშობ, მაგრამ მას შემიძლია, რაც პარტია იყოს, თამაშის დროსაც — მისი დამთავრების მომენტამდე, მოწინააღმდეგე ჩემთვის უცხო ადამიანია. იგი ჩემი მეტოქეა. პარტნიორი კი არ არის, ჩემი პირადი მოწინააღმდეგეა, არამედ ის ფიგურებია, რომლებიც დაფაზე განლაგებული.

**და გინდათ იმის მოხსობა, რაც დაფაზეა განლაგებული?**

— დიხ, ეს ასეა. არ შემიძლია მთლიანად ამის ახსნა, მაგრამ რაც დაფაზეა, იგი მე მიწინააღმდეგეა. ამიტომ საჭიროა მისი მოსაზრა, რათა გამარჯვება ვიხეიძო. ამასთან ერთად ძლიერი, მკვეთრი ტრანზიციონალიზმი და ძლიერი შთაბეჭდილებებისადმი მიდრეკილება მაქვს.

**ცნობილია, რომ მოჭალაკები დამარცხებაზე უჩვეულო რეაგირებას ახდენენ: ფიგურებს თამაშში მიმოფანტავენ ხოლმე, ჭალაკის დაფას მუშტს უბრაზუნებენ, შეურაცხველად ხატვებს ამბობენ. ერთმა ცნობილმა ოსტატმა იატაკზეც კი მოშარდა.**

— დიხ, ასეთია ჭალაკი. უმთავრესად, ყოველივე ეს მოყვარულთა დონეზე ხდება, მაგრამ უმაღლეს დონეზე კი, დიდოსტატთა შეჭიბვებშიც, შეიძლება მოჭალაკი.

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლელო“ № 1.**

კის განადგურება. მას შემდეგ, რაც დანიელმა დიდოსტატმა ბენტ ლარსენმა ბობი ფიშერთან წააგო ანგარიშით 0:6, ამის შემდეგ ვერაფრით ვეღარ შეძლო მდგომარეობიდან გამოსვლა. იმის თქმა არ შეიძლება, რომ მან საერთოდ დაკარგა ჭალაკის თამაშის უნარი, მაგრამ დღეს, თუმცა დიდოსტატად რჩება, აღრინდელი ლარსენის ანგარიშს და წარმოადგენს. ჭალაკში ყველაზე მაღალ დონეზე ორჯერ უნდა მოიხროთ გამარჯვება. ჭერი იმარჯვებთ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, შემდეგ კი უკვე უშუალოდ დაფასთან.

**როგორ აღწევთ თქვენ ამას?**

— ყველაზე უკეთესი მაგალითი, რომელიც თავში მომივიდა, მსოფლიო პირველობაზე ანატოლი კარპოვთან ჩემი უკანასკნელი პარტია გახლავთ, სევილიაში, 1987 წელს. ეს იყო 24-ე პარტია, რომელიც აუცილებლად უნდა მომეგო, რათა ჩემი წოდება შეემარჩუნებინა. ყანის შემთხვევაშიც კი კარპოვი, ჩემი ძველი მეტოქე, მსოფლიო ჩემპიონი ხდებოდა. ერთი სიტყვით, ჩემი კარიერა ამ პარტიაზე იყო დამოკიდებული. პარტია რომ გადიოდო, ზედმეტი პაიკი და ერთგვარი პოლიტიური უპირატესობა მქონდა, მაგრამ მოგება არავითარ შემთხვევაში არ იყო უდავო. ჩემი შეფასებით, შესაძლებლობები მაინც თანაბარი იყო, მაგრამ როდესაც მეორე დღეს სცენაზე გამოვედი და კარპოვს თვალში შევხედი, დავრწმუნდი, რომ მას არ სჭეროდა პარტიის გადარჩენისა. რწმენა დაკარგა, თითქოს მეილი მისი ენერჯია მე გადმომეცა. ეს პარტია მოვგე და მსოფლიო ჩემპიონის წოდება შევიწინააღმდეგე.

**ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ტიგრან პეტროსიანი ზოგჯერ ამბობდა, რომ მოჭალაკები მთაშობა ინტელექტუალური იარაღი, ყოველთვის როლი არიან ჭკვიანი. ინტელექტი საჭალაკო მიმომხილველი რაიმონდ კენი ისტორიაში უდიდეს მოჭალაკად ვთვლით. ნიშნავს თუ არა ეს, რომ თქვენ გენიოსი ხართ?**

— დიხ, რამდენადაც ქედმაღლურადაც არ უნდა ვლერდეს, ეს ახლათ სინამდვილესთან. ცხადია, რამდენადმე გენიოსი უნდა იყო, რომ ადამიანური საქმიანობის რომელიმე სფეროში პირველი გახდეთ. ასეთი ლეგიონი ნიჭის გარეშე ვერ გახდებოდა მსოფლიო ჩემპიონი, მით უმეტეს ჭალაკში.

**ხომ არ შეგიძლიათ დაგვისახელოთ ის თვისებები, რომლებიც კარგ მოჭალაკებს დიდი მოჭალაკისაგან განასხვავებს?**

— უპირველეს ყოვლისა ვიმეორებ, იგი დიდი მეტროლოთ უნდა იყოს. ეს მას სისტემა უნდა ჰქონდეს. მეორე, თამაშის რაღაც მისტიკური გრძობა უნდა ჰქონდეს. აქ საჭიროა არ არის თამაშის გაგება ან მრავალი საჭალაკო ლიტერატურის შესწავლა. თუკი თქვენ

თამაშის შეგონების უნარი გაქვთ, მაშინ შეგიძლიათ რაიმე ახალი შექმნათ.

**ხომ ვერ აგვიხსენით, რატომ არის საბჭოთა კავშირში ჭალაკის განვითარების დონე უმაღლესი? რატომ, რომ თქვენს ქვეყანაში უმაღლესი დონეზე უფრო ადამიანი სერიოზულად მუშაობს ჭალაკში, სხვაგან კი ეს არ ხდება?**

— იმიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში უმეტეს შემთხვევაში სხვა არაფერი რჩება გასაკეთებელი! საბჭოთა კავშირის ჭალაკი იდეალურად მიესადაგება. იგი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მარტივი საშუალებაა. ამის საფუძველია ის, რომ მას არც სპეციალური მოედანი სჭირდება, არც კორტები, საჭიროა მხოლოდ საჭალაკო დაფა, ფიგურები და მუყაღის კუთხე. ეს ადამიანების მინიმალური გართობის ყველაზე მარტივი საშუალებაა. ჭალაკი საბჭოთა მოქალაქისათვის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა.

**თქვენთვის, როგორც საბჭოთა მოქალაქისათვის, საუზუნზე ხიზოლათა ჩვეულებრივი საქმიანობაა?**

— დიხ, რა თქმა უნდა.

**ყველა საბჭოთა პროფესიონალ მოჭალაკს შეუძლია საუზუნზე ხიზოლათის ჭამა? ეს საქმიანობა ხომ ადამიანის ტვინის მუშაობას უწყობს ხელს?**

— არა, ბევრს არ შეუძლია ხიზოლათი ჭამა. მაგრამ მე ხომ აქ დავიბადე, კასპის ზღვის პირას, ეს ჩემი ადგილობრივი პროდუქტია. მას ზღვაში მოიპოვებენ, ისე რომ, მე უფრო იოლად ვმოულობ, ვიდრე სხვა მოჭალაკები. ხიზოლათს ჩვეულებრივ შეჭიბვების დროს შევუძლია, რადგან პარტიის წინ საჭიროა კალორიების კარგი მარაგის მიღება.

**ხიზოლათის გამო, დიდი მოჭალაკების უმეტესობას განსაკუთრებული შეხებულება რომ აქვთ? თქვენ დახალებიდანვე გაქვთ კარგი შეხებულება, თუ იგი ვარჯიშების შედეგად განვითარდა?**

— კარგი შეხებულება დაბადებით მაქვს. იმისათვის, რომ პირველხარისხის მოჭალაკი გახდეთ, განსაკუთრებული ნიჭია საჭირო. ეს წინასწარი პირობა გახლავთ.

**როგორც ამტკიცებენ, შეგიძლიათ აპოზით სატელეფონო ნომერი დაიხსოვროთ. ამნაირი უნარი დახალებიდან გქონდათ თუ შემდეგ განვითარდა?**

— ჭალაკს ყოველთვის ვთამაშობდი, მაშინაც, როცა სკოლაში ვსწავლობდი, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტში მეცადინეობის ბოლოს. ზოგჯერ რამდენიმე თვეს ვაცდენდი ლექციებს. როცა სასწავლებელს ვუბრუნდებოდი, ბევრი გამოცდა უნდა ჩამებარებინა. შე-

მედლო წაგნი წამეკითხა და დამემასხვრებინა იგი, შემდეგ მაგნიტოფონის ლენტისა არ იყოს, ბოლოდან ვამემორებინა. შემდეგ გონებით ძალზე ბევრი ინფორმაცია დამემასხვრებინა. ეს არის ჩემი მეხსიერების ერთ-ერთი თავისებურება, მაგრამ, როდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მეხსიერება მოჭალაკისათვის მინცდამინც მნიშვნელოვანი რამ არ ვახლავთ, ვინაიდან დასაწყისში მას მართლაც შეუძლია დაგხმაროთ, მაგრამ პარტიის ამ სტადიაში თქვენ მხოლოდ დებიუტების განსაზღვრული რიცხვის დახმარება შეგიძლიათ. აი, პარტიის მიმდინარეობის დროს კი ძალზე კარგად უნდა შეგეძლოთ ვარიანტების გათვლა. მეხსიერებასა და მარს გათვლის ნიჭს შორის კი უდიდესი განსხვავებაა.

**დიდი მოჭალაკს წინასწარ რამდენი ხვლის გათვლა შეუძლია.**

— ყველაფერი პოზიციის თავისებურებაზე დამოკიდებული. ჭალაკი ძალიან რთული თამაშია. მაგრამ ისეთ პოზიციებში, სადაც სვლები და მათზე პასუხები იმულებითია, ერთ სვლას აუცილებლად ერთი პასუხი მოყვება ხოლმე. ისე კი, მე პირადად შემიძლია 10-15 სვლის გათვლა. მაგრამ ასეთი რამ ძალზე იშვიათად ხდება, ჩვეულებრივ, პოზიციებს უკვე რთული ეწოდება, როდესაც ერთ სვლას ხუთი პასუხი მოსდევს, თითოეულ მათგანს კიდევ ხუთი მომდევნო პასუხი. ამ შემთხვევაში ინტუიციას, პოზიციის საკუთარ გაგებას უნდა დაეყრდნობ. ძალიან კარგია, თუ ასეთ სიტუაციაში წინასწარ 5, 6, 7 სვლას გაითვლით.

**იხვევ არ გიყვართ წაგება, როგორც სხვა მოჭალაკები?**

— შესაძლოა, მათზე მეტადაც არ მიყვარს. მაგრამ წაგებაზე არასოდეს არა მაქვს ისეთივე რეაქცია, როგორც ზოგიერთ მოჭალაკებს. რა დასამალოა, თავს უფერულად ვგრძნობ, როცა ვაგებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სადაც შევცდი, თუკი ვაგებ, ვიღაც მუშაობს, ანალოზის შემდეგ უნდა დაადგინო კიდევ, სად შევცდი. აი ამას კი ვერ ვაპატებ ხოლმე ჩემს თავს. როგორ შეიძლებოდა ასეთი შეცდომა მომსვლოდა! არც ერთ მეტროლოთს არ უყვარს წაგება, მაგრამ ეს პირადად ჩემთვის თუნდაც იმიტომ არის მძიმე, რომ იგი ჩემზე სუსტ მოჭალაკსთან წაგებას ნიშნავს. ჭალაკი უფრო მესმის, უკეთ ვთამაშობ, მაგრამ უცერად მაინც ვაგებ, რადგან სულელური სვლები ვაგავთ. აი, ამას განსაკუთრებით ვერ ვაპატებ ხოლმე საკუთარ თავს. ამ მომენტში ჩემი თავი მეზიზღება. ასეთი გრძობა ერთდროული თამაშის სიანგების დროსაც კი მაქვს, როცა 25 ან 30 მოჭალაკის წინააღმდეგ ვთამაშობ, როცა მეტრეკლებად ვთვლებული კი ვარ შევცდი. იმიტომ, რომ შეუძლებელია ყველა პარტიაზე ყურადღების კონცენტრაცია. როცა ცუდ პოზიციას ვიღებ, გააფთრების გრძობა მეუფლება — როგორ ვაგებ გაცილებით უფრო სუსტ მოყვარულებთან. ერთხელ ერთდროული თამაშის სიანსი ვაგმართე, რომელსაც საფრანგეთის ტელევიზიით გადაცემდნენ. ერთ-ერთ პარტიაში ფორის სახით ლაზერე, დავთვე, ე. ი. ხელი ავიღე საკუთარ ლაზერზე. მაგრამ ეს მოხდა იმიტომ, რომ მეტოქედ ლამაზი ქალიშვილი მყავდა, რომელიც სინამდვილეში მოჭალაკე სულაც არ ყოფილა.

**გაგრძელება იქნება**

## ჩოგბურთის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სპორტია

19 წლის საბჭოთა ჩოგბურთელმა ანდრეი ჩერკასოვმა, რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციით ჯერჯერობით მხოლოდ 73-ე ადგილზეა, პროფესიულ კონტრაქტს მოაწერა ხელი ბუნდესლიგის კლუბ „ტს კარლსრუე-როიუნთან“ და ამიერიდან სისტემატიურად მიიღებს მონაწილეობას გფრ-ს ვუნდურ ჩემპიონატში.

### 10 საჩვენებელი მატჩი

როგორც საერთაშორისო ჩოგბურთის ვარსკლავმა ბორის ბეკერმა (გფრ) უზრუნველყოფა განუცხადა, მას 1990 წელს განზრახული აქვს გფრ-ის სხვადასხვა ქალაქში 10 საჩვენებელი მატჩის გამართვა.

### ყველა დისკვალიფიცირებულია

როგორც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენელმა მიშელ ვერდემ ლონანში განაცხადა, ყველა იმ ჩოგბურთელს (მათ შორის უიმბლდონის 1989 წლის ტურნირის ფინალისტ ამერიკელ კევინ კუჩერს), რომლებიც მონაწილეობდნენ იოპანესტურაში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) გამართულ შეჯიბრებაში, ეკრძალებათ 1992 წელს ბარსელონის ოლიმპიადებზე გამოსვლა.

### ოთხი ტრამპლინის ტურნი

### გარმის-პარტამიკინი. მსოფლიო ჩემპიონი იენს ვაისფლოგ (გფრ) ოთხი ტრამპლინის ტურნის მეორე ეტაპზე გამარჯვების შემდეგაც ვერ დაწინაურდა. პირველ პოზიციას ამ ტრადიციულ საახალწლო შეჯიბრებაში დასავლეთგერმანელი დიტერ ტომა ინარჩუნებს. მას ჯამში 431,0 ქულა აქვს, ვაისფლოგს კი — 428,5. 4 და 6 იანვრის სტარტების წინ მესამე ადგილს ფინელი რისტო ლააკონენი ინარჩუნებს — 424,5.

მეორე ეტაპზე ვაისფლოგმა ასეთი შედეგები აჩვენა — 101 და 103,5 მეტრი. ლააკონენმა — 102,5 და 102, ტომამ კი — 103,5 და 101 მეტრი. საბჭოთა მთხილამურეები ვერც ამჯერად მოხვდნენ უძლიერესთა ათეულში. მესამე ეტაპი შედგება დღეს ინსბრუკში, მეოთხე კი 6 იანვარს ბიშოფსჰოფენში.

### „ჯასი ოუენის პრიზი“

### როჯარ კინგდომს

ამერიკის მძლეოსნობის ფედერაცია ყოველწლიურად ანიჭებს „ჯასი ოუენის პრიზს“ სპორტმენს, რომელმაც განსაკუთრებით გამოიჩინა თავი წლის შეჯიბრებებში. ამჯერად პრიზი გადაეცა ორჯის ოლიმპიურ ჩემპიონსა (1984 და 1988 წლებში) და მსოფლიო რეკორდმენს 110 მეტრზე თარგბენში როჯარ კინგდომს (აშშ).

### კვლავ დომტორი დაუმე

1961 წლიდან მოყოლებული 76 წლის დომტორი ეილი დაუმე უკვე მეშვიდედ აირჩიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის თანამდებობაზე.

### „სპორტპროგნოზი“

### 58-ე ტიპის შედეგები (29-80 დეკემბერი)

1-2, 2-2, 3-2, 4-1, 5-2, 6-2, 7-1, 8-X, 9-1, 10-X, 11-2, 12-1, 13-1.

### შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

### რედაქტორი

თ. ბაჩაილაძე.

**ოლიმპიური ჩემპიონის დისკვალიფიკაცია**  
სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი, მსუბუქი წონის მოკრივე კენედი მაკინი (აშშ) პროფესიონალი გახდა. ამას წინათ, მას პროფესიონალ მოკრივეთა ორგანიზაციებმა 6 თვეთა ჩამორთვებს ლიკენბო, სხვა სიტყვებით, დისკვალიფიკაცია მისცეს ლაიპსის (კოკინი) ხმარების გამო.

**ანატოლი მხარს უპირს**  
როგორც გფრ-ს კანცლერმა პელმუტ კოლა განაცხადა, მისი მთავრობა ყოველწლიურად დაუჭერს მხარს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის სპორტული კავშირების განმტკიცებას.

„სპორტპროგნოზი“, მეორე ტიპის პროგნოზი (12-14 იანვარი) ნსლ-ს ჩემპიონატი შაიხიან ოკაიევი	პროგნოზი		
1. „ნიუ-ჯერსი დევილზი“ — „მონრეალ კანადიენსი“	12.1	10	20
2. „ვაშინგტონ კეპიტალსი“ — „პიტსბურგ პენგვინსი“	12.1	70	20
3. „ვინიპეგ ჯეტსი“ — „დეტროიტ რედ უინგსი“	12.1	70	10
4. „ვანკუვერ კენაქსი“ — „სენტ-ლუის ბლიუზი“	12.1	70	10
სსრ ტაშვილის ჩემპიონატი ბურთიან ოკაიევი (უგაღლესი ლიბა)			
5. „საიანი“ (აბაკანი) — „კუზბასი“ (კემეროვო) იტალიის ჩემპიონატი ფანგარატი	14.1	60	10
6. „ინტერი“ (მილანი) — „ბოლონია“ (ბოლონია)	14.1	80	10
7. „გენუა“ (გენუა) — „ფიორენტინა“ (ფლორენცია)	14.1	10	60
8. „იუვენტუსი“ (ტურინი) — „ვერონა“ (ვერონა)	14.1	70	10
9. „ატალანტა“ (ბერგამო) — „ლეჩე“ (ლეჩე)	14.1	70	20
10. „ლაციო“ (რომი) — „მილანი“ (მილანი)	14.1	10	80
11. „უდინეზე“ (უდინე) — „ნაპოლი“ (ნეაპოლი)	14.1	10	40
12. „ასკოლი“ (ასკოლი) — „რომა“ (რომი)	14.1	10	60
13. „ბარი“ (ბარი) — „სამპდორია“ (გენუა)	14.1	20	60

**შენიშვნა:** მოთამაშეთა თხოვნით ნსლ-ს ჩემპიონატში მასპინძლები მითითებული არიან წყვილში პირველად, ამ მატჩების შედეგები კი განისაზღვრება საბოლოო შედეგების მიხედვით.

**53550 შინაგარე:**  
წერილებისთვის — 280998,  
თბილისი, ლენინის ქ. 14,  
დეკემბრისთვის — თბილისი, „ლელო“.

**ჩადაძიის ტელეფონები:**  
წერილების განყოფილება — 98-97-55,  
სამაგისტრო — 98-97-52,  
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-53,  
„მერანი“ — 98-97-26, „მარტვი“ — 98-97-27.

**53550 054010 68485**  
საქართველოს კ. ც.ს. გამომცემლობის შრომათა წითელი დროშის ორდენის მქონე სტამბა, 280998, თბილისი, ლენინის ქ. 14. აბეჭდება ოცნებური წიგნით სავსე კორპუსები: სომარაულის, 29.